MES 1 22 0000090030

31/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.01.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:10 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (V - VI საკითხებზე)
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა(I, II, III, IV საკითხებზე)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამები საკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

3. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
16. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურაბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ალექსანდრე გამყრელიძე	**სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სამაგისტრო პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება" ხელმძღვანელი	I, II
2	ირინა ხუციშვილი		სამაგისტრო პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება" ხელმძღვანელი	I, II
3	მანანა ხაჩიძე		საბაკალავრო პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება" (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) ხელმძღვანელი	I, II
4	თამარ ჭელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	I, II, III, IV
5	ქრისტინე ჩიხლაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	I, II, III, IV
6	ლია წულაძე		პროფესორი	IV
7	იაგო კაჭკაჭიშვილი		პროფესორი	IV
8	ამირან ბერძენიშვილი		პროფესორი	IV
9	მაგდა ცინცაძე		საბაკალავრო პროგრამა "კომპიუტერული მეცნიერება" (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) კოორდინატორი	I, II
10	მამუკა თავხელიძე	**შპსგრიგოლრობაქიძისსახელობისუნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის რექტორი	V
11	მოგელი შენგელია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
12	ნინო შოშიტაშვილი			V

			ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	
13	დავით ძიძიგური	**სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
14	შოთა ცისკარიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**
15	მიხეილ თუთბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**
16	ერეკლე მაღრაძე		პროფესორი	**VI**
17	ნანა დიხამინჯია		პროფესორი	**VI**
18	პაატა ბრეკაშვილი		ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI**
19	ვახტანგ ბალავაძე		იზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის ხელმძღვანელი	**VI**
20	ნინო ჟვანია		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI**

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
2	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
3	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
4	ელენე გავაშელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	გიგი გიოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	თამარ გვინიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ია მოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ ნინო იმნაძემ

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის"სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **კი**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნად განისაზღვრა მაკა კაჭარავა

პირველი საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 19 მაისის N461197 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქუჩა №13, თსუ მე-11 კორპუსი, 0186, თბილისი, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	**აკრედიტებული** “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კომპიუტინგის სააკრედიტაციო კომისიის მიერ ABET CAC (Computing Accreditation Commission, 2019 - 2020 წლის აკრედიტაციის ციკლი), რომელიც აღიარებულ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი**
	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	ინფორმატიკის ბაკალავრი (0401)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N13, თსუ, XI კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	**აკრედიტებული** “კომპიუტერული მეცნიერების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კომპიუტინგის სააკრედიტაციო კომისიის მიერ ABET CAC (Computing Accreditation Commission, 2019 - 2020 წლის აკრედიტაციის ციკლი), რომელიც აღიარებულ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი**
	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	ინფორმატიკის ბაკალავრი (0401)
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0177, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N13, თსუ, XI კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ვინაიდან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის ანგარიშის, „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამების მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა ერთი და იგივე ექსპერტი (ნანი არაბული), სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს შესთავაზა სამივე საკითხი განეხილათ, ერთი შესვენების ფარგლებში.
დამსწრე პირებმა თანხმობა გამოხატეს სამივე საკითხი საბჭოს განეხილა ერთი შესვენების ფარგლებში

პირველისაკითხისზეპირიმოსმენა (კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ანგარიში)
ექსპერტის პოზიციისგანხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2021 წლის 19 მაისს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და ამავე დროს დაევალა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა 5 რეკომენდაცია. როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროგრამის ხელმძღვანელები, კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. მისი თქმით დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ მათ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს.
საბჭო გადავიდა მეორე და მესამე საკითხის განხილვაზე ("კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა)
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების

ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით დაიგეგმა პროგრამის შემოწმება არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში. ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, შედეგები, სტრუქტურა, განხორციელდა პერსონალის განახლება/პროფესიული განვითარება, მატერიალური რესურსის განახლება/დამატება, შემოწმდა პროგრამის შესაბამისობა პირველ, მეორე და მეოთხე სტანტარტებთან. შემოწმება განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე. ექსპერტებს შორის კომუნიკაცია ხორციელდებოდა zoom პლატფორმის საშუალებით. ორივე პროგრამასთან მიმართებით შეფასებები მსგავსია, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული მუშაობისთვის

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:15
დასრულების დრო: 14:20
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

„კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

მეორე საკითხი („კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები)

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მესამე საკითხი („კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები)

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

სხდომას შემოუერთდა თამარ ჩხეიძე

მეოთხე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 11 ნოემბრის N283 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N8, N14, კორპუსი VI, IV
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 9 დეკემბერს დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის საშუალებით. ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ექსპერტთა ჯგუფის წინასააკრედიტაციო მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა 8 დეკემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნის მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტები ჯგუფის წევრებს შორის. ექსპერტთა მიერ გაიწერა ის ძირითადი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრისას. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად უნდა განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს შორის თემების გამეორება/დუბლირების გამორიცხვა, რათა არ დაირღვეს მათ შორის ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპი;
3. რეკომენდებულია, SPSS - ის არჩევით სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო;
4. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში, სადაც ფასდება დასწრება აქტივობისგან დამოუკიდებლად;

5. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელის დატვირთვის რეგულირება, რათა აკადემიურ პერსონალს არ შეეშალოს ხელი სხვა სასწავლო/კვლევითი სამუშაოს შესრულებაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულების შემუშავებისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესში აქტიურად გამოიყენება აკადემიური მოსწრების ანალიზი. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამიზნე ნიშნულები განისაზღვრა ბოლო 2 წლის სასწავლო გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისად, თუ რეალობა შეიცვლება, ეს გამოიწვევს სამიზნე ნიშნულების დაკორექტირებას. აკადემიური მოსწრების ანალიზი ხორციელდება ყოველსემესტრულად. სამიზნე ნიშნულებთან სტუდენტების მიღწევების დადარება ხორციელდება არა მათ მიერ პროგრამის დასრულების შემდგომ, არამედ შუალედურად, პროგრამის განხორციელების პარალელურად. თუ შუალედური შეფასებისას გამოიკვეთა სტუდენტთა მიერ პროგრამით დასახული სამიზნე ნიშნულების ვერ მიღწევის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში ხდება სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარის შესწავლა. მსგავს შემთხვევებში, განხილვის საგანს წარმოადგენს სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები, ფორმები და მათი გამჭვირვალობა, სასწავლო კურსის შინაარსი, დავალებების/აქტივობების შინაარსი, სიცხადე და სხვა.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მიემართება სასწავლო პროგრამის თეორიულ ნაწილს, რომელიც 5 სავალდებულო კურსითაა წარმოდგენილი: „პროტოსოციალური თეორიები“, „კლასიკური სოციალური თეორიები“, „თანამედროვე სოციალური თეორიები 1“, „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“ და „პოსტმოდერნული სოციალური თეორიები“. აღნიშნულ კურსებს შორის არსებობს როგორც ლოგიკური, ისე ისტორიული კავშირი. გადაფარვის შთაბეჭდილებას ახდენს ორი თემის ჩართვა სხვადასხვა კურსში. ესენია: 1. მიშელ ფუკოს სოციალური თეორიის ჩართვა ორ კურსში: ა) თანამედროვე სოციალური თეორიები 2 და ბ) პოსტმოდერნული სოციალური თეორიები; 2. ენტონი გიდენსის სოციალური თეორიის ჩართვა ორ კურსში: ა) „თანამედროვე სოციალური თეორიები 1“ და ბ) „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“. როგორც აღნიშნული კურსების სილაბუსები ადასტურებს: 1. კურსში „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“ მიშელ ფუკოს სოციალური თეორია წარმოდგენილია ზოგადი აღწერის სახით, რომლის ფარგლებშიც მიმოხილულია ფუკოს მრავალფეროვანი თეორიის თითქმის ყველა ასპექტი. ამასთან, ასეთ ზოგად მიმოხილვას ეთმობა მხოლოდ 1 სალექციო საათი. რაც შეეხება „პოსტმოდერნული სოციალური თეორიის“ კურსს, აქ მიშელ ფუკოს თეორია განხილულია უფრო სიღრმისეულად. ანუ, კურსი „თანამედროვე სოციალური თეორია 2“ ერთგვარი შესავალია, გადასასვლელი რგოლია მომდევნო - პოსტმოდერნული სოციალური თეორიის - კურსზე. შესაბამისად, დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რომ კურსიდან „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“ ამოღებულ იქნას ფუკოს თეორიის ზოგადი მიმოხილვითი ლექცია. ა) ენტონი გიდენსის სოციალურ თეორიას „თანამედროვე სოციალური თეორიები 1“ კურსის ფარგლებში ეთმობა ორი (მე-14 და მე-15) კვირა, ჯამში 4 სალექციო საათი, ხოლო „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“ კურსის ფარგლებში მხოლოდ 1 სალექციო საათი. მიუხედავად იმისა, დაწესებულება იზიარებს დასკვნაში გამოთქმულ შენიშვნას და ენტონი გიდენსის თეორიას დაწესებულება ამოიღებს კურსიდან „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აზრით, წარმოდგენილი რეკომენდაცია უნდა გაუქმდეს, ან, უკეთეს შემთხვევაში, რჩევად ჩამოყალიბდეს. მისი თქმით, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს, სავალდებულო კურსების სტატუსით

მიეწოდებათ ორი კურსი: ა) რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და ბ) რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი. ორივე კურსის საკრედიტო მოცულობა ჯამში შეადგენს 40 კრედიტს და გრძელდება 4 სემესტრის (2 წლის) განმავლობაში. აღნიშნული კურსების (განსაკუთრებით, სოციოლოგიის პრაქტიკუმი) ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან „ნედლი“ მონაცემების SPSS სტატისტიკურ პროგრამაში დამუშავების უნარ-ჩვევებს. SPPS-ის სპეციალური კურსი გამიზნულია იმ სტუდენტებისთვის, ვისაც სპეციფიკური ინტერესი გააჩნია რაოდენობრივი კვლევის მიმართ და სურს ამ მიმართულებით გაიღრმავოს საკუთარი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ სპეციალური კურსის სავალდებულო კურსად გახდომა დაარღვევს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების სწავლების ბალანსს, რაც დაუშვებელია.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დასწრება და აქტიურობა სხვადასხვა ტიპის აქტივობებია. ამდენად, სავსებით ლოგიკურია ამ ორი კომპონენტის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსხვავებულად შეფასება. თუ რომელიმე სასწავლო კურსის პედაგოგს შეფასების ეს ორი კომპონენტი გაყოფილი აქვს, ეს მისი აკადემიური თავისუფლების ნაწილია და ამაში ვერ ჩავერევით.

საბაკალავრო ნაშრომთან არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარია რას ეფუძნება ეს რეკომენდაცია. საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პოლიტიკას კურირებენ პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობენ აღნიშნული დატვირთვა დაბალანსირებულად გადაანაწილონ დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებზე. აქამდე ეს პოლიტიკა წარმატებით ხორციელდებოდა - არცერთ პედაგოგს არ გამოუთქვამს პროტესტი დაუბალანსებელ დატვირთვასთან დაკავშირებით. ასევე მან აღინიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში ჩართულია სოციოლოგიის დეპარტამენტის ყველა პროფესორი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულების რეაგირების მექანიზმი არის უფრო საფაკულტეტო ან საუნივერსიტეტო რეგულაცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა ჰქონდეს შემუშავებული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რა მექანიზმები არსებობს უნივერსიტეტში სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ გადაფარვა ეხებოდა თუ არა მხოლოდ ორ სილაბუსს. ასევე ის დაინტერესდა სტუდენტებისა და ნაშრომების ხელმძღვანელთა თანაფარდობით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რეკომენდაცია მოცემულია 2.2 კომპონენტში, მაშინ როცა შინაარსობრივად ის 2.3 კომპონენტს შეესაბამება, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ,,სოციალური თეორიები 1“ და ,,სოციალური თეორიები 2“ შინაარსი სხვადასხვაგვარად არის ფორმულირებული, ასევე ლიტერატურაც განსხვავებულია და ამასთან ჰყავთ სხვადასხვა განმახორციელებლები. შესაბამისად, ის დაინტერესდა, რა იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ თემები დუბლირებულია.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ რამდენად რელევანტური იყო დასწრების კომპონენტის შეფასება.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მე-3 რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა სტაჟირების კომპონენტისთვის კრედიტის მინიჭებას და მის სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრას, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მოცემული საკითხი. ასევე ის დაინტერესდა მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართადაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუ თარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთ ხელმძღვანელს საშუალოდ 8 სტუდენტის ხელმძღვანელობა უწევს. თუმცა ხელმძღვანელობაში

ჩართული არიან კვალიფიციური დოქტორანტები და გარკვეულ შემთხვევებში (რაც არ არის ხშირი) მოწვეული პედაგოგები.
რაც შეეხება დასწრების ქულების შეფასების საკითხს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც ფიზიკურად მიმდინარეობდა სწავლება, თითოეულ ლექტორს ჰქონდა სია, რომლის დარიგებაც ხდებოდა ლექციის ფარგლებში, შესაბამისად სტუდენტები თავიანთ დასწრებას სწორედ ამ ცხრილში ნიშნავდნენ. რაც შეეხება ონლაინ რეჟიმში დასწრების რევიზიას, ლექციები იწერება, შესაბამისად ლექტორს აქვს შესაძლებლობა გადაამოწმოს და იხილოს ლექციაზე დამსწრეთა სრული სია. თუმცა რეალურად სტუდენტი ესწრება თუ არა ლექციას ამის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან სტუდენტს შეუძლია გამორთული დატოვოს ვიდეო თვალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო სწავლების დონეზე, დასწრების კომპონენტის შეფასების ამოღება სტუდენტებისთვის იქნება დემოტივაციის წყარო.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ რამდენად რელევანტურია დასწრების კომპონენტის შეფასება, ამასთან უმჯობესია ინსტიტუციამ სხვა რამე ისეთი დავალება შემოიტანოს, რომელიც უკეთ შეაფასებდა უნარებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულების შემუშავებისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესში აქტიურად გამოიყენება აკადემიური მოსწრების ანალიზი. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამიზნე ნიშნულები განისაზღვრა ბოლო 2 წლის სასწავლო გამოცდილების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრების ანალიზი ხორციელდება ყოველსემესტრულად. სამიზნე ნიშნეულებთან სტუდენტების მიღწევების დადარება ხორციელდება არა მათ მიერ პროგრამის დასრულების შემდგომ, არამედ შუალედურად, პროგრამის განხორციელების პარალელურად. თუ შუალედური შეფასებისას გამოიკვეთა სტუდენტთა მიერ პროგრამით დასახული სამიზნე ნიშნულების ვერ მიღწევის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში ხდება სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარის შესწავლა.
დაწესებულების წარმომადგენელმა დასწრების შეფასების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ რომ დასწრების კომპონენტის შეფასება არ წარმოადგენს უნივერსიტეტის უნივერსალურ მიდგომას, მოცემული განისაზღვრება ლექტორთა აკადემიური თავისუფლების ფარგლების შესაბამისად.
მნიშვნელოვანია ასევე სტაჟირების საკითხი, კერძოდ სტაჟირებას(პრაქტიკას) სტუდენტები საბაკალავრო საფეხურზე არ გადიან, აღნიშნული მოცემულია მხოლოდ სამაგისტრო დონეზე. თავდაპირველად ექსპერტთა ჯგუფს საკითხი რეკომენდაციის სახით ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა შემდეგ მოხდა მისი რჩევის სახით განსაზღვრა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პროგრამას აქვს შემუშავებული სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს და სამიზნე ნიშნულებთან დადარებას, თუმცა არ არის განსაზღვრული საკითხი, თუ სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში რა ზომები უნდა მიიღოს პროგრამამ. ამ მექანიზმის არსებობა მით უფრო საჭიროა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში ყველა სწავლის შედეგს საკმაოდ მაღალი სამიზნე ნიშნული აქვს მინიჭებული (სასწავლო კურსებს სტუდენტთა მინიმუმ 50% დაასრულებს 90 ქულაზე მაღალი შეფასებით). სასურველია, რომ სამიზნე ნიშნულები რაც შეიძლება მაღალი მაჩვენებლის მიღწევაზე იყოს ორიენტირებული, მაგრამ მნიშვნელოვანია მათი რეალისტურობა. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია საჭირო გახდეს სამიზნე ნიშნულების ზღვრის დაწევა, რადგან სტუდენტთა 50%-ისთვის A შეფასების მიღება ძალიან მაღალი ნიშნულია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპი ცალკეული კურსების შემთვევაში გარკვეულწილად დარღვეულია, რამდენადაც ხდება მათი შინაარსის და თემატიკის დამთხვევა, გამეორება/დუბლირება. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამაში არსებობს “თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების” ორი კურსი (I, II.),

“თანამედროვე სოციალური თეორიები II” - წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი “თანამედროვე სოციალური თეორიები I”; თუმცა, უშუალოდ კურსის შინაარსის (“თანამედროვე სოციალური თეორიები II” , სილაბუსი) გაცნობისას დგინდება, რომ სალექციო თემები ემთხვევა ერთმანეთს და შესაბამისად, ირღვევა ასევე კურსებს შორის ლოგიკური თანმიმდევრულობის პრინციპი. კერძოდ, პირველი ლექციის თემაა - “ენთონი გიდენსის სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურაციის თეორია.” ეს თემა ისწავლება კურსის “თანამედროვე სოციალური თეორიები I” ფარგლებში (რომელიც სტუდენტს უკვე გავლილი აქვს პროგრამის ფარგლებში) და ეთმობა მე-13,14 ლექცია.
რაც შეეხება დასწრების კომპონენტს, თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. გამოყენებული შეფასების სისტემა უმეტესად მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, შეფასების კომპონენტებში გათვალისწინებულია დასწრება-აქტივობის კომპონენტი ცალ-ცალკე, რომლის შესაბამისად ფასდება არა მხოლოდ აქტივობა, არამედ დასწრებაც. ვინაიდან, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება ისეთი ტიპის შეფასებით, რომელიც ახდენს ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასებას, რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები შესაბამის სილაბუსებში.
მნიშვნელოვანია ასევე ხელმძღვანელობის საკითხი, კერძოდ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისია, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დატვირთვის საკითხი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო კომპონენტია და ბაკალავრის ხელმძღვანელობის უფლება ეძლევა როგორც უნივერსიტეტთან აფილირებულ პერსონალს, ასევე დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეულ პედაგოგს. მიუხედავად ამ რეგულაციისა, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს სემესტრში 8-10 ბაკალავრის ხელმძღვანელობაც უხდება, რაც ძალიან დიდი დატვირთვაა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ იგივე ლექტორები ასევე ხელმძღვანელობენ მაგისტრანტებსა და ზოგ შემთხვევაში დოქტორანტებს. პროგრამის ხელმძღვანელების შემთხვევაში ამ დატვირთვას ასევე ემატება ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებც. შესაბამისად, რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელების დატვირთვის რეგულირება, რათა აკადემიურ პერსონალს არ შეეშალოს ხელი სხვა სასწავლო/კვლევითი სამუშაოს შესრულებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:12
დასრულებისდრო: 17:00
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ *გაიზიარა* ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა;

2.უსდ-მ უნდა უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელის დატვირთვის რეგულირება, რათა აკადემიურ პერსონალს არ შეეშალოს ხელი სხვა სასწავლო/კვლევითი სამუშაოს შესრულებაში.

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის შინაარსი მეტად ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მათ შორის, არა მხოლოდ თეორიულ, არამედ კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში;
2. სასურველია, რომ დარგობრივი ინგლისურის კურსი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სემესტრით და სემესტრულად რთულდებოდეს ამ კურსის ფარგლებში შესასწავლი მასალა;
3. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების: „თანამედროვე სოციალური თეორიები 1“, „თანამედროვე სოციალური თეორიები 2“ თემატიკის დუბლირების აღმოფხვრის მიზნით;
4. სასურველია, პროგრამამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას უშუალოდ კვლევით ორგანიზაციებში; ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა, რათა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას;
5. სასურველია, სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტისთვის კრედიტის მინიჭება და არჩევით კურსად პროგრამაში დამატება;
6. სასურველია, გადაიხედოს სილაბუსში შეფასების ქულებს შორის შუალედი და დაკონკრეტდეს რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას;
7. სასურველია პროგრამამ სტუდენტებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადოს რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზისათვის განკუთვნილი ლიცენზირებული პროგრამები;
8. სასურველია სამეცნიერო ბაზების მოხმარების რაოდენობის გაზრდისათვის ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმა;
9. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
10. სასურველია სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დაფიქსირებული ქულების სერიოზული ინფლაციის (წანაცვლებული მაღალი შეფასებების მიმართულებით) სიღრმისეული გამოკვლევა და სათანადო რეაგირების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

17:02 საბჭოს სხდომას შემოუერთდა გიორგი ღაღანიძე
17:02 საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ შენგელია
17:02 საბჭოს სხდომას შემოუერთდა ანა ფირცხალაშვილი

მეხუთე საკითხი : შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 4 ნოემბრის N255 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0313 ფსიქოლოგია**
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, ქ. თბილისი, ირინა ენუქიძის N3 (აღმაშენებლის ხეივანი მე - 13 კმ)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება გაარძელა მარიამ შენგელიამ

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთაჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის დისტანციური შეფასება განხორციელდა 2021 წლის 9 ნოემბერს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა ბიბლიოთეკარის დახმარებით ნახა თუ როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა და ვირტუალურად დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. გაიზარდოს სამი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“, „სოციალური ფსიქოლოგია“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“ -- მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური

ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“, „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 1“ და „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები 2“.

2. სამი კურსი „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“ და „სოციოლოგიის შესავალი“ გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში.
3. პროგრამას დაემატოს კვლევითი ნაშრომის კურსი ან საბაკალავრო ნაშრომი, ან ნებისმიერი დასახელების კურსი, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ/დაგროვილ თეორიულ ცოდნას, კვლევით უნარებსა და პროფესიული კომუნიკაციის (წერილობითი/ზეპირი) უნარებს.
4. კურსის „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“ დასახელების, მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობდეს როგორც თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიაში წარმოებული ემპირიული კვლევისა და მისი მდგენელების (პროცესის, ეთიკისა და ცალკეული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების) შესახებ, ისე კურსის ფარგლებში განხილული მეთოდების გამოყენების ბაზისურ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
5. კურსის „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული.
6. კურსის „პიროვნების ფსიქოლოგია“ მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეიძინოს სილაბუსში გაწერილი კომპეტენციები.
7. (კურსის „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ დასახელების, მიზნის, შინაარსისა და სწავლის შედეგებისა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა ისე, რომ სტუდენტმა რეალურად შეძლოს სამეცნიერო/აკადემიური წერის ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამისათვის რეკომენდებულია აღნიშნული კურსის მოდიფიცირება ან ორ დამოუკიდებელ კურსად („აკადემიური წერა“ ცალკე და „ფუნქციური წერა“) ჩამოყალიბება, რომელთაგან პირველი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შევა, ხოლო მეორე -- არჩევითი სტატუსით დარჩება პროგრამაში.
8. კურსის შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ შესაბამისობაში იყოს დარგში არსებულ თანამედროვე ცოდნასთან, მიღწევებთან და ემპირიული კვლევების შედეგებთან.
9. გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და საჭიროების შემთხვევაში (ა) ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით; (ბ) სტუდენტებს სავალდებულო საკითხავად მიეცეს ოპტიმალური საკითხავი მასალა, რომელიც რეალურად მისცემს მათ იმ ბაზისურ ცოდნას, რომელიც შემდგომი ცოდნის დაგროვების/შექმნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის არის საჭირო; (გ) დაზუსტდეს და ჩასწორდეს სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგია.
10. პროგრამის კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსებით გამდიდრება, იქნება ეს არსებული კურსების მოცულობის გაზრდა თუ ახალი კურსების დამატება .
11. კვლევითი ნაშრომის კურსის, საბაკალავრო ნაშრომის, ან მსგავსი კურსის დამატება პროგრამის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტების ჩამონათვალში, რომელიც შეაჯამებს სტუდენტის მიერ შეძენილ თეორიულ ცოდნას, კვლევის, საქმიანობისა და

წერილობითი ნაშრომის შექმნის ბაზისურ უნარ-ჩვევებს და დაადასტურებს სტუდენტის კომპეტენტურობას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

12. გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
13. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;
14. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უსდ-ის აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა მოწვეულს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის, მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციას კოგნიტური ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის მოცულობის გაზრდის შესახებ, დაწესებულება იზიარებს. რაც შეეხება ,,ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს“, მისი თქმით, მოცემული სასწავლო კურსი გათვალისწინებულია მეოთხე სემესტრში, შესაბამისად, სტუდენტებს უკვე გავლილი აქვთ ,,ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც სტუდენტებში ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის ფუნდამენტური საკითხებისა და ბაზისური ცნებების შესახებ ცოდნის დაუფლებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა სტუდენტებს გავლილი აქვთ ფსიქოლოგიის ისტორიის კურსიც, რომელიც აგრეთვე გაჯერებულია მეთოდოლოგიურ პრობლემებზე დისკუსიით. შესაბამისად, ,,ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“ კურსის დაწყებისას სტუდენტებს უკვე აქვთ სათანადო ცოდნა სხვადასხვა ეპისტემოლოგიური პოზიციის შესახებ, ხოლო აღნიშნული დისციპლინის ფარგლებში, იწყებენ უშუალოდ კვლევის მეთოდების პრაქტიკულ შესწავლას.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების მიზნებისთვის, უნივერსიტეტმა ტრადიციისამებრ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არის ფსიქოლოგიის ბაკალავრთა ერთ-ერთი აქტიური დამსაქმებელი, რამდენადაც ბაზრის კვლევა ტარდება ბაზარზე ორიენტირებული პროგრამის შესამუშავებლად, სწორედ ამ კვლევის შედეგების საფუძველზე სასწავლო კურსი ,,განათლების ფსიქოლოგია“ განისაზღვრა ძირითად დისციპლინათა ბლოკში. აქედან გამომდინარე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და დამსაქმებლები თვლიან, რომ სასწავლო კურსი „განათლების ფსიქოლოგია“ უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო კომპონენტში. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის კომიტეტს შესაძლებლად მიაჩნია სასწავლო კურსების ,,პათოფსიქოლოგია 1“ , ,,პათოფსიქოლოგია 2“, არჩევით მოდულში გადატანა. რაც შეეხება ,,სოციოლოგიის შესავალს“, აღნიშნული კურსის არსებობა სავალდებულო დისციპლინათა ბლოკში განპირობებულია პროგრამის მიზნებითა და სკოლის მისიით. ის ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სტუდენტის ზოგად ინტელექტუალური რესურსის ფორმირებას, ხოლო მეორე მხრივ სტუდენტს აძლევს სოციალური სინამდვილის პრობლემურ ველში სწორი პროფესიული ორიენტაციისა და აკადემიური კონტექსტის გააზრების შესაძლებლობას. ამის გათვალისწინებით, პროგრამის კომიტეტის აზრით, არ იქნება რელევანტური ამ დისციპლინის ამოღება სავალდებულო დისციპლინათა ბლოკიდან.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციით გაცხადებული მიზანი სავარაუდოდ ვერ მიიღწევა, რადგან ამ ტიპის ნაშრომი ითვლება საკვალიფიკაციო ნაშრომად და არა შემაჯამებელ ნაშრომად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაში ახალი კომპონენტის გაჩენა, საკვალიფიკაციო ნაშრომის სახით, დამატებითი კრედიტების გამოთავისუფლებას მოითხოვს, რაც

არასახარბიელოდ აისახება პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტების უკვე დაგეგმილ დატვირთვაზე. მეორე მხრივ, თუ მხედველობაშია კვლევით და პროფესიული უნარების დემონსტრირება, ამას უზრუნველყოფს როგორც ძირითადი, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები, სხვადასხვა აქტივობების სახით, სასწავლო კვლევითი პროექტები, ესეები და რეფერატები, სასწავლო და ჩაშენებული პრაქტიკები და ასე შემდეგ. ამრიგად, თეორიული ცოდნის, კვლევითი და პროფესიული კომუნიკაციის უნარების დემონსტრირება პროგრამას გამჭოლად გასდევს, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების გაზომვას უფრო დეტალურად, ვიდრე ამას ერთი ნაშრომი უზრუნველყოფდა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ბაზარი ითხოვს უპირატესად პრაქტიკული კვალიფიკაციის მქონე კადრებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება არ შემატებს პროგრამას ეფექტიანობას.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რამდენადაც ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების ქართულენოვანი სახელმძღვანელო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ არ მოიპოვება, აღნიშნულ სილაბუსში გამოიყენება ძირითადად რიდერი, რომელიც წარმოადგენს ფსიქოლოგიის თანამედროვე მიღწევათა კომპილაციას, გამოყენებულია აგრეთვე წულაძის სოციოლოგიური კვლევის თვისობრივი მეთოდები, რომელიც რამდენიმე სალექციო თემის დამუშავებისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო თემატიკა მეთოდთა კლასიფიკაციის გათვალისწინებით შეირჩა და უზრუნველყოფილია ყველა კატეგორიის მეთოდის დაუფლების შესაძლებლობა. კურსი ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ თითოეული კატეგორიის საკვანძო პრინციპებს და შემდეგ ინტერესის შემთხვევაში მარტივად შეძლონ თითოეული კატეგორიის ახალი მეთოდის შესახებ ინფორმაციის დამუშავება.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმოამდგენლის თქმით, სასწავლო კურსი შესავალი სტატისტიკაში ეფუძნება სოციალურ მეცნიერებებში სტატისტიკის სწავლების თანამედროვე მიდგომებს. ეს გამოცდილება ინფორმაციის გამარტივებული სქემებით მიწოდებას და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ნაკლები დრო იხარჯება ფსიქოლოგებისთვის არარელევანტური მასალის დამუშავებაზე და მეტი ყურადღება ეთმობა სტუდენტებში მონაცემთა ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. კურსში მიღებული ცოდნა და უნარები კარგ საფუძველს ქმნის სამაგისტრო დონეზე მონაცემთა ანალიზის უფრო კომპლექსური მეთოდების დაუფლებისთვის. აღნიშნული კურსის გაყოფას, საბაკალავრო დონეზე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი არ თვლის მიზანშეწონილად.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გარდა მითითებული სახელმძღვანელოებისა, უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკით სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი როგორც წესი სტუდენტებს აწვდის იმ ინფორმაციას, რომელიც ლექტორის აზრით მცირე დოზით ან საერთოდ არ იძებნება ამა თუ იმ სახელძღვანელოში. ამ თვალსაზრისით არც ეს კონკრეტული დისციპლინაა გამონაკლისი. აღსანიშნავია, რომ პიროვნების ფსიქოლოგიის ქართულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა უდაოდ წაადგებათ სტუდენტებს და რომელიც შეტანილ იქნება პიროვნების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსში.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ცნობილია, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პრაქტიკა ინფორმაციის ოპტიმიზაციასა და ინტეგრირებაზეა ორიენტირებული, რაც განპირობებულია საინფორმაციო შემეცნებითი ველის მზარდი ფარგლებით და სასწავლო დროის ოპტიმიზაციის აუცილებლობით. ფუნქციური ელემენტები მოცემულ სილაბუსში არის იმ დოზით, რაც აუცილებელია წერითი მეტყველების სტილის გასარჩევად და პრაქტიკული უნარების განსავითარებლად. უნივერსიტეტი სწორედ ამ მიდგომას იზიარებს და თვლის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულება არ მოემსახურება პროგრამის ეფექტიანობის გაზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა ექსპერტების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსების არჩევითიდან სავალდებულო ბლოკში გადატანას, აღნიშნა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით ხდება პროგრამის სწავლის შედეგებსა და მიზნებზე გასვლა. აქედან გამომდინარე, ის დაინტერესდა ახდენდა თუ არა გავლენას არჩევითი კურსების სავალდებულო ბლოკში გადატანა პროგრამის სტრუქტურაზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით პირველი სტანდარტი არის სრულად შესაბამისი, ხოლო მეორე ნაწილობრივ, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამა, მოცემული სახით, ფაქტობრივად მოიცავს თითქმის ყველა იმ კურსს, რომელიც სავალდებულოა თანამედროვე რეალობაში ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხისთვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საფუძვლები, კვლევის მეთოდები, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და ორგანიზაციული ფსიქოლოგია. თუმცა ზოგიერთი დასახელებული კურსის მოცულობა ბადებს კითხვის ნიშნებს . ამასთან, სავალდებულო კურსების ბლოკში არ არის წარმოდგენილი აკადემიური წერა, შემაჯამებელი ნაშრომი და სტატისტიკის დამოუკიდებელი კურსი. ასევე, ზოგიერთი კურსის სილაბუსი აჩვენებს, რომ შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად ეყრდნობა ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებს, უახლეს კვლევებსა და წყაროებს. ასევე, პროგრამის კურსების ნაწილი, მეტნაკლებად მოიცავს პროფესიული ეთიკის, აკადემიური პატიოსნების საკითხებს, რაც თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ეს ბაზისური კომპონენტები დაწესებულებას გაწერილი აქვს. რეკომენდაციაში მოცემული სამი კურსი, რომელიც უნდა გადავიდეს სავალდებულო ბლოკში არ წარმოადგენს საბაზისო კურსს და შესბამისასდ არ ცვლის იმ კომპეტენციების შედეგებს, რომელზეც უნდა გავიდეს სტუდენტი. ექსპერტმა განმარტა, რომ იმ სახით, რა სახითაცა პროგრამა წარმოდგენილი, პროგრამის შინაარსი, მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია ერთმანეთთან, თუმცა არ შეესაბამება კლასიფიკატორის მოთხოვნებს შინაარსობრივად და ვერ გადის კლასიფიკატორის შედეგზე. აღნიშნული კი გამოსწორებადია რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად შესაბამისობაშია და მიღწევადია სწავლის შედეგები და მიზნები, იმ კონტენტით, რომლითაც მეორე სტანდარტი განისაზღვრა ნაწილობრივ შესაბამისად.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული. უფრო კონკრეტულად, სტუდენტს ჯერ შეეთავაზება ის საბაზისო კურსები, რომლებიც ფუნდამენტურ ცოდნას აძლევენ მას ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, მაგალითად, ფსიქოლოგიის საფუძვლები, კოგნიტური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო კურსების ერთობლიობა, მეტწილად გადის პროგრამაში დეკლარირებულ სწავლის შედეგებზე, თუმცა ზოგიერთი სავალდებულო კურსის მოცულობა და/ან სავალდებულოს ან არჩევითის სტატუსი კითხვის ნიშნებს ბადებს. ამიტომ პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია გარკვეული ცვლილებების განხორციელება მისი ოპტიმიზაციის მიზნით, რათა სრულად იქნეს მიღწეული დეკლარირებული შედეგები. შესაბამისად, აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა რეკომენდაციების განსაზღვრის საფუძველი.
აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მოცემული მიზანი და შედეგები ერთმანეთთან არის ბმაში, მაგრამ არა კლასიფიკატორის მოთხოვნებთან. შესაბამისად, მოცემული რეალობის მიხედვით, პირველი სტანდარტი განისაზღვრა როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მეორე როგორც ნაწილობრივ. პროგრამა საჭიროებს გაუმჯობესებს, რაც შესაძლებელია რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შესაბამისი ცვლილებების გატარების შედეგად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა სწავლის შედეგების საკითხი, კერძოდ ის დაინტერესდა, არის თუ არა ისინი იმგვარად გაწერილი, რომ მიღწევადი იყოს ფსიქოლოგიის პროგრამის მოთხოვნების მინიმუმი.
ექსპერტმა განმარტა, რომ შედეგები გაწერილია, უბრალოდ ის მოდიფიკაცია რაც არის შემოთავაზებული მაქსიმალურად წაადგება შედეგების მიღწევას. შედეგები უკეთ არის გაწერილი, ვიდრე თავად პროგრამის შინაარსი. შესაბამისად, შინარსი ვერ უზრუნველყოფს არსებული შედეგების მიღწევას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი შედეგები არის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი. უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამას საჭიროებს მოდიფიკაციასა და დახვეწას.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:48
დასრულების დრო: 18:47

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია გაძლიერდეს კოგნიტური ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების სწავლება პროგრამის ფარგლებში;
2. რეკომენდირებულია კურსების „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“, „პიროვნების ფსიქოლოგია“ „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ დასახელების, მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და გამოყენებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. რეკომენდირებულია კურსის „სტატისტიკის მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (SPSS-ის ელემენტებით)“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული;
4. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა და ჩანაცვლდეს რელევანტური და თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი მასალით;
5. რეკომენდირებულია პროგრამა გაძლიერდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტით/კომპონენტებით;
6. რეკომენდირებულია გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
7. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა;
8. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
რჩევები:

1. პროგრამის გაუმჯობესებისათვის სასურველია, რომ: პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს როგორც პროგრამის ამ კომპონენტის სპეციფიკა, ისე მისი შესწავლით უკვე მიღწეული შედეგები (შეფასებები);
2. სასურველია გადაიხედოს „პათოფსიქოლოგია 1“, „პათოფსიქოლოგია 2“ და „სოციოლოგიის შესავალი“ კურსების სტატუსი და საჭიროების შსემთხვევაში დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგები;
3. პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობას და განვითარებას;
4. განხორციელდეს პროგრამის დადარება საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადსა და 6 თვეში მოიტორინგის განხორციელების პირობით.

მეექვსე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 19 მაისის N461173 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0162, ქ. თბილისი ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ
საფუძელი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციისგანხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ანგარიში წარმოადგინა 2021 წლის 19 ნოემბერს. როგორც ანგარიშიდან ჩანს, მასზე იმუშავა სამუშაო ჯგუფმა, რომელის დაკომპექტებული იყო ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან. ილიას სახელმწოფო უნივერსიეტმა გაითვალისწინა მიღებული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით განახორციელა აქტივობები.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია გათალისიწნებულია და უნივერსიტეტმა წარმოადგინა მასალა, რომელთა საფუძველზე იკვეთება პროგრამის შემუშავება/მოდიფიცირებაში სტუდენტთა ჩართულობა. ჩატარებულია გამოკითხვები და ასევე ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებით დგინდება, რომ სტუდენტებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები პროგრამული ინჟინერიის საგანამათლებლო პროგრამის

გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ასევე, კურსდამთავრებულებთან იქნა განხილული პროგრამის განვითარრებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც დასტურდება გამოკითხვებით.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უნვიერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაზე დაყრდნობით განახორციელა სტუდენტებთან შეხვედრები. შესრულებულია ასევე მე-3 რეკომენდაცია, წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში ჩანს, რომ თემის შერჩევის პროცედურა დეტალურადაა გაწერილი.
მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის ნაწილობრივაა შესრულებულია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა მხოლოდ 2020-2021 წლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ნუსხა, საიდანაც ვერ გამოიკვეთებოდა ის, თუ რამდენად იქნა ამ ნაშრომებში კვლევითი კომპონენტი წარმოჩენილი, თუმცა იმის გამო, რომ წინა რეკომენდაციები შესრულებულია, ეს იძლევა იმის ვარაუდს, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებაც მოხდა.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ის შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ პერსონალის წახალისების მიზნით შემუშავებულია აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის დებულება, ხოლო მათი საქმიანობის შესაფების წესიდან გამომდინარე, პერსონალი იღებს მონაწილეობას ტრენინგებში.
შესრულებულია მე - 6 რეკომენდაციაც. უნივერსიტეტმა წარმოადგინა გამოთვლითი ცენტრის აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტი, სადაც ჩანს სამაგისტრო პროგრამის 6 სტუდენტის (სახელი და გვარების მითითებით) ჩართულობა გამოთვლითი ცენტრის პროექტებსა და კვლევებში (თემატიკის მითითებით).

სხდომისთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთა რიპოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია მაქსიმალურად შეეცადა, რომ ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჰქონოდა რეაგირება და განეხორციელებინა შესაბამისი ცვლილებები. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის: "პროგრამული ინჟინერია" სამუშაო ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებულია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან, განიხილა და შეაფასა პროგრამასა და მის ცალკეულ კომპონენტებთან/ასპექტებთან მიმართებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებები რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გადაიხედა და მოდიფიცირდა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, გაიზარდა სტუდენტების ჩართულობა შიდასაუნივერისტეტო სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ განხილვის პროცესში გამოყენებული იყო სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:03
დასრულების დრო: 19:06
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროგრამული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროგრამული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა